



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № _21_

“ 25 ” ი ა ნ ვ ა რ ი 2022 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.7.11 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული N01213631742-67 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.7.11
11 / იანვარი / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 დეკემბერს N01213631742-67 განცხადებით მიმართა იურიდი ქავთარაძემ (პ/ნ 01022010034) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩა N1 (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077). ნაკვეთების ფართობი 12 162 კვ.მ. საკვლევი არეალის განაშენიანება წარმოადგენს ძირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელ სამრეწველო დანიშნულების შენობებსა და ანგარებს, შესაბამისად, გამოყენების ძირითადი დომინირებული სახეობებია სამრეწველო-სასაწყობო დანიშნულების ნაგებობები, რომლებშიც, დღეის მდგომარეობით, განვითარებულია მცირე საამქროები, საწყობები და ე.წ. საქმიანი ეზოები. საკვლევი ტერიტორიაზე არ არის ისეთი ტიპის საწარმოები, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს საცხოვრებელ გარემოზე და ადამიანზე. საკვლევი უბნის და ზოგადად, მომიჯნავე ტერიტორიის მთავარ აქცენტს წარმოადგენს ვეტერანთა დასვენებისა და შრომის პარკი ე.წ. „კიკვიძის პარკი“. წარმოდგენილი გადაწყვეტით ხდება სამრეწველო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩანაცვლება საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებით, აღნიშნული განაშენიანება ვითარდება ერისთავის ქუჩიდან კვარტლის სიღრმეში, ჭყონდიდელის ქუჩის გასწვრივ.

„ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N78 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

იმავე განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.074) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის N426 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5);

წარმოდგენილი წინადადებით იგეგმება მრავალფუნქციური (სავაჭრო-კომერციული და საცხოვრებელი) კომპლექსის განთავსება. საპროექტო მიწის ნაკვეთი დაიყოფა 2 გეგმარებით ერთეულად:

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ით (სსზ-2),



ხოლო საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6);

N1 გეგმარებითი ერთეული:

საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში - კ2 კოეფიციენტი განსაზღვრულია არა უმეტეს 4.0-ისა; კ2-საანგარიშო ფართობი: 14 300 კვ.მ

საცხოვრებელი 90%, კომერციული 10 %;

N2 მეორე გეგმარებითი ერთეული:

საცხოვრებელ ზონა 6-ში კ-2 შეადგენს 2.5-ს; კ-2 საანგარიშო ფართობი: 21 900 კვ.მ

დადგენილი კოეფიციენტები:

N1 გეგმარებითი ერთეული:

კ1-0,4

კ2-4,0

კ3-0,3

N2 გეგმარებითი ერთეული:

კ1-0,3

კ2-2,5

კ3-0,4

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური

საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოყენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N014-39 დადგენილების 16¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართობი 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ-ისა.

ვინაიდან, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) დასაშვებია 25% საცხოვრებელი ფუნქცია, ხოლო მოთხოვნილია - 90%, ნამატის შესაბამისად, გადმოსაცემი ფართი მიახლოებით შეადგენს: 372,0 კვ.მ-ს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრის N0121365890 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 11 იანვრის N0122011845 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და თანახმაა N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01213631742-67 განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში.

4. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ-სა.


5. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

6. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი სმაღაძეს.

8. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0122011845

თარიღი: 11/01/2022

პინი: 7346

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა 2021 წლის 29 დეკემბრის №01213631742-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.12.12.002.078 და 01.12.12.002.077 (წინა კოდი 01.12.12.002.074); ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 5 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1; საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში **01.12.12.002.077 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **7 ძირი** (№34; №43; №52-53; №74-75; №77) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **5 ძირი მწვანე ნარგავი (ს/კ 01.12.12.002.078 — ერთი ძირი გადაბერებული: №19; ერთი ძირი ზეხმელი: №81; ს/კ 01.12.12.002.077 — 2 ძირი ხმობადი: №40, №42; ერთი ძირი ზეხმელი: №41),** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **4 ძირი მწვანე ნარგავი (ს/კ 01.12.12.002.078: ერთი ძირი ხეყრალა - №22; ს/კ 01.12.12.002.077: ერთი ძირი ხეყრალა - №44; ერთი ძირი კანადური ვერხვი - №61; ერთი ძირი თუთა - №80)** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადაარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **13 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **13 ძირი (ს/კ 01.12.12.002.078 — №20-21, №25-27; ს/კ 01.12.12.002.077 — №45, №54-60)** მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

განმცხადებლის მიერ საპროექტო წინადადებით შემოთავაზებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 4 400 მ²-ს, ხოლო საპროექტო ფუნქციური ზონირებით (სზ-6 — ფართობი 8 624 მ², კ-3=0.3; სსზ-2 — ფართობი 3 538 მ², კ-3=0.3) განსაზღვრული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი ტოლია 3 648.6 მ²-ის. აღნიშნულთან დაკავშირებით განიხილეთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (**არსებული**: 8 ძირი რობინია (ცრუ აკაცია), 6 ძირი აილანტუსი, 9 ძირი თუთა, ერთი ძირი კანადური ვერხვი, 2 ძირი იაპონური სოფორა, 4 ძირი იფანი; **გადასარგავი**: 2 ძირი თუთა, ერთი ძირი რობინია (ცრუ აკაცია), 10 ძირი აილანტუსი; **საპროექტოდ დასარგავი**: 18 ძირი ჰიმალაის კედარი, 40 ძირი იტალიური ფიჭვი, 14 ძირი უნაყოფო თუთა, 6 ძირი ჩვეულებრივი ცხენისწაბლი, 7 ძირი კავკასიური აკაცია, 12 ძირი ევროპული მუხა, 4 ძირი წითელი ტყემალი, 7 ძირი იუდას ხე (არღავანი), 4 ძირი იაპონური ძელქვა, 6 ძირი მელისა აზადერასი, 7 ძირი რობინია (ცრუ აკაცია), 5 ძირი თათრული ნეკერჩხალი, **ჯამში - 173 ერთეული**) სრულად ითვისებს საპროექტო ფუნქციური ზონირებით გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3 648.6 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.12.12.002.078 და 01.12.12.002.077 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0121365890

თარიღი: 31/12/2021

პინი: 6176

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2021 წლის 29 დეკემბრის N 01213631742-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.12.12.002.078; 01.12.12.002.077) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 18 ნოემბრის N 01213222577-67 განცხადების პასუხად N 01213223023 წერილით.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი






შენიშვნები				
საპროექტო ბიუჯეტი		ბიუჯ.	შენიშვნა	საპროექტო
საპროექტო კოდი	საპროექტო კოდი	საპროექტო კოდი	საპროექტო კოდი	საპროექტო კოდი
01.12.02.02.074	12.62	1	5538	საპროექტო - პროექტის ბიუჯეტი
01.12.02.02.074	12.62	2	6484	საპროექტო - პროექტის ბიუჯეტი
01.12.02.02.074	12.62		12.62	საპროექტო ბიუჯეტი

482350

[illegible]

LEONARD M. BLOOM, JR., is a professor of psychology at the University of California, San Diego, and a past president of the American Psychological Association.

100



№	ИДЕНТИФИКАЦИОННЫЙ НОМЕР ДОКУМЕНТА	ОБЪЕКТ ЗАЩИТЫ ИНТЕРЕСОВ ГОСУДАРСТВА	ИДЕНТИФИКАЦИОННЫЙ НОМЕР ДОКУМЕНТА	ИДЕНТИФИКАЦИОННЫЙ НОМЕР ДОКУМЕНТА
1	10482	2010/00000000000000000000	10482000000000000000	10482000000000000000
2	00482	2010/00000000000000000000	00482000000000000000	00482000000000000000
3	10482			

[illegible][illegible]

Sl. No.	NAME OF THE STUDENT	DATE OF BIRTH	DATE OF ADMISSION	DATE OF EXAMINATION	MARKS OBTAINED	PERCENTAGE	GRADE
1	ABHIRAM K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	85	85%	B
2	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	75	75%	C
3	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	65	65%	D
4	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	55	55%	E
5	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	45	45%	F
6	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	35	35%	G
7	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	25	25%	H
8	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	15	15%	I
9	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	5	5%	J
10	ADARSH K. S.	10/01/2000	10/01/2018	10/01/2019	0	0%	K

[illegible]

1. 28305555

ԵՐԱՅԱՆԻ ՊԱՏԿԱԴՈՒՄ

2. 1998-2000

[illegible]

3. Երևանի քաղաքապետարանի քաղաքապետի պաշտոնի վերաբերյալ հարցազրույցի արձանագրությունը:

4. Գրե՛ր ի՛նչի՛ն արժեքներն:

[illegible]

6. უფრო მეტი მონაცემი:

[illegible][illegible][illegible]

GRUPO: C.Z.L.F.Z. 8 | 830801 N46 | 670 60 9741
 ENDREZA: 010101 6333000000 000000 140000000000
 0713000501

1. 1990-1991

[illegible]



603030000 300 70003-7* (600236679)
 000 60000000 0000000000 1 41
 000000 600000000 (00000000)
 000000 00000000 (00000000)

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՔՐԻՍՏԻԱՆ ԵԿԵՔԵՐԱՆՈՒԹՅԱՆ
ԿԵՆՏՐԱԼ ԿԱԶՄԵՆՏԱՆԻ
ԿԵՆՏՐԱԼ ԿԱԶՄԵՆՏԱՆԻ

דאָס פּאַרלעמאַנט

זי. 6308-6335 זיט:
פּאַרלעמאַנט

פּאַרלעמאַנט:
פּאַרלעמאַנט

פּאַרלעמאַנט:
פּאַרלעמאַנט

063000000000

ԵՐԱՅՈՒԹՅՈՒՆ: C.V.V. 10 | ՃԻՆԵՒ A664 | ԵՐ 60 ԵՐԿՆ
 ԵՐԱՅԻՆ ԵՐԱՅԻՆ: * ԵՐԱՅԻՆԻ ԵՐԱՅԻՆԻ ԵՐԱՅԻՆԻ

ՁՆՆՈՒՄ:

1. ԽՊՈՒՄ ԶՊՈՒՄ
2. ԶՆՆՈՒՄ ԶՆՆՈՒՄ
3. ԶՆՆՈՒՄ ԶՆՆՈՒՄ

[illegible]

ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ 2022წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.7.11 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული N01213631742-67 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 22.7.11
11 / იანვარი / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 29 დეკემბერს N01213631742-67 განცხადებით მიმართა იურიდი ქავთარაძემ (პ/ნ 01022010034) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩა N1 (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077). ნაკვეთების ფართობი 12 162 კვ.მ. საკვლევი არეალის განაშენიანება წარმოადგენს ძირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელ სამრეწველო დანიშნულების შენობებსა და ანგარებს, შესაბამისად, გამოყენების ძირითადი დომინირებული სახეობებია სამრეწველო-სასაწყობო დანიშნულების ნაგებობები, რომლებშიც, დღეის მდგომარეობით, განვითარებულია მცირე საამქროები, საწყობები და ე.წ. საქმიანი ეზოები. საკვლევი ტერიტორიაზე არ არის ისეთი ტიპის საწარმოები, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს საცხოვრებელ გარემოსა და ადამიანზე. საკვლევი უბნის და ზოგადად, მომიჯნავე ტერიტორიის მთავარ აქცენტს წარმოადგენს ვეტერანთა დასვენებისა და შრომის პარკი ე.წ. „კიკვიძის პარკი“. წარმოდგენილი გადაწყვეტით ხდება სამრეწველო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ჩანაცვლება საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებით, აღნიშნული განაშენიანება ვითარდება ერისთავის ქუჩიდან კვარტლის სიღრმეში, ჭყონდიდელის ქუჩის გასწვრივ.

„ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N78 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

იმავე განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.002.074) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის N426 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5);

წარმოდგენილი წინადადებით იგეგმება მრავალფუნქციური (სავაჭრო-კომერციული და საცხოვრებელი) კომპლექსის განთავსება. საპროექტო მიწის ნაკვეთი დაიყოფა 2 გეგმარებით ერთეულად:

საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ით (სსზ-2),



ზოლო საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6);

N1 გეგმარებითი ერთეული:

საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში - კ2 კოეფიციენტი განსაზღვრულია არა უმეტეს 4.0-ისა; კ2-საანგარიშო ფართობი: 14 300 კვ.მ

საცხოვრებელი 90%, კომერციული 10 %;

N2 მეორე გეგმარებითი ერთეული:

საცხოვრებელ ზონა 6-ში კ-2 შეადგენს 2.5-ს; კ-2 საანგარიშო ფართობი: 21 900 კვ.მ

დადგენილი კოეფიციენტები:

N1 გეგმარებითი ერთეული:

კ1-0,4

კ2-4,0

კ3-0,3

N2 გეგმარებითი ერთეული:

კ1-0,3

კ2-2,5

კ3-0,4

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

